<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში - „სახელმწიფო ვალის შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

საქართველოს კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13–14, 05/03/1998) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საშინაო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების თანხამ არ უნდა გამოიწვიოს ვალდებულებების ლიმიტის ზრდა საბანკო სისტემის მიმართ, რომელიც განსაზღვრულია მოცემული პერიოდისათვის მონეტარული პოლიტიკის შესაბამისად.“

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონში - "სახელმწიფო ვალის შესახებ" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის ,,საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" მიღება.

ა.ბ) კანონპროეტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 95-ე მუხლთან საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო ვალის შესახებ" შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციასთან ,,სახელმწიფო ვალის შესახებ"– საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის 38–ე მუხლში. კონსტიტუციის 95–ე მუხლში ასახული ცვლილებების თანახმად, მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით ,,საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას". აღნიშნული დეფინიციის თანახმად საქართველოს კონსტიტუციაში ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის აღსანიშნავად აღარ გამოიყენება ტერმინი ,,ფულად–საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა" და მის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი ,,მონეტარული პოლიტიკა".

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი არ აკისრებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ.ა) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ - ,,საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“.

დ.ბ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.